ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723359001
თარიღი:25/12/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა N- 20

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 17 (ჩვიდმეტი) წევრი. სხდომას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების უფროსები, ა(ა)ი.პირების ხელმძღვანელები, გაზეთ ,,სვანეთის" რედაქტორი ცოტნე მუსელიანი და საზოგადოების წარმომადგენლები.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის(აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩახქსელიანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მინიჭება და ჩვენს ქვეყანას უსურვა შემდგომი წარმატება.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

2. **2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.**

   /მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე/

   /თანამომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების (ს/კ 87.04.21.128 და ს/კ 87.04.21.1110) სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ.**

   / მომხს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

4. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 29 ნოემბრის N-23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/ მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი ტარიელ აფაქიძე/

5. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30-დეკემბრის N-43 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.**

/ მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი ტარიელ აფაქიძე/

6. **საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2023 წელს საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი/

სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 17

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ აღნიშნა, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში შევიდა ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის რეგლამენტში. აღნიშნულ დადგენილებაზე მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოვიდა სამართლებრივი შენიშვნები. აღნიშნული შენიშვნები გათვალისწინებული იქნა და მომზადდა ახალი დადგენილება. დადგენილება წარმოდგენილია შემდეგი სახით:

,,4.საკრებულოს ბიუროს სხდომაზე მისი წევრის დასწრება სავალდებულოა. საპატიო მიზეზით ბიუროს სხდომაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე ხმის იმავე უფლებით შეიძლება შეცვალოს მისმა მოადგილემ, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარე-მისმა მოადგილემ ან ფრაქციის წევრმა კომისიის /ფრაქციის/ თავმჯდომარის მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვის შემთხვევაში.

2.რეგლამენტის 33[1] მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნას.

3. 33[3]-და 33[4] მუხლები ამოღებული იქნას.

4.რეგლამენტის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი (მერი, მერის პირველი მოადგილე, მერიის სამსახურის უფროსი, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი) უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია რეგლამენტით დადგენილი წესით დაესწროს კომისიის სხდომას, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომისიამ“.

5.რეგლამენტის 47- ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.საკრებულოს მორიგი სხდომა მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც როგორც წესი, ყოველი თვის მესამე ხუთშაბათს(თუ ხუთშაბათი არასამუშაო დღეა, მომდევნო სამუშაო დღეს).საკრებულოს მორიგი სხდომა, თუ არ იცვლება მისი თარიღი და ჩატარების ადგილი, არ საჭიროებს ოფიციალურად მოწვევას.

6.რეგლამენტის 90-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 90.ბიუჯეტის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება

1. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს წარადგენს მერი საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

2. საკრებულოს აპარატი რეგისტრაციაში ატარებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში რეგლამენტის 135-ე მუხლით დადგენილი წესით აქვეყნებს საჯარო განხილვისათვის. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად სავალდებულოა გამოქვეყნდეს დამოუკიდებელი აუდიტის შემოწმების შედეგები და დასკვნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ცნობა რომელშიც მითითებული უნდა იყოს საკრებულოს ის კომისია (კომისიები), რომელსაც გადაეცა ანგარიში განსახილველად, კომისიაში ანგარიშის განხილვის ვადები, კომისიის (კომისიათა) ადგილსამყოფელი და სხდომების გრაფიკი, ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე გატანის დრო, საკრებულოს აპარატის მისამართი, სადაც შეიძლება წარდგენილ იქნეს მოსაზრებები ანგარიშთან დაკავშირებით, მოსაზრებების წარდგენის ვადა.

3. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია და ფრაქციები დასკვნას ბიუჯეტის ანგარიშთან დაკავშირებით საკრებულოს აპარატს გამოსაქვეყნებლად წარუდგენენ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. საკრებულოს აპარატი რეგისტრაციაში ატარებს და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, ამ რეგლამენტის 135-ე მუხლით დადგენილი წესით აქვეყნებს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს ფრაქციების დასკვნებს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით.

4. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და აუდიტორული დასკვნის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში ტარდება საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ამ რეგლამენტის 126-ე მუხლით დადგენილი ფორმების გამოყენებით.

5. საკრებულო საზოგადოებრივი დარბაზთან ერთად ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვას იწყებს ანგარიშის გამოქვეყნებიდან არაუადრეს ორი კვირისა.

6. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს საკრებულოს სხდომაზე წარადგენს მერი ან მის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი, რომელიც საკრებულოს სხდომას წარუდგენს ანგარიშთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებზე ახსნა-განმარტებას. საკრებულო თანამოხსენებლის ფორმით ისმენს დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნას და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნას, აგრეთვე საკრებულოს აპარატის უფროსის მოხსენებას საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებთან დაკავშირებით (საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ჩატარების შემთხვევაში).

7. მომხსენებელთა და თანამომხსენებლის (თანამომხსენებელთა) მოსმენის შემდეგ იწყება დებატები ამ რეგლამენტის 57-ე მუხლით დადგენილი წესით.

8. საკრებულო, არა უგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ. საკრებულოს მიერ 1 მაისამდე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობა ნიშნავს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დაუმტკიცებლობას.

9.ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საკრებულო უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაციები“.

7.რეგლამენტის 112-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ო''-ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას“.

8. 113--ე მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნას.

9.რეგლამენტის 116^{5-}ე მუხლი ამოღებულ იქნას.

10.რეგლამენტის 137-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 137. კონტროლი საკრებულოს რეგლამენტის დაცვაზე და მისი დარღვევის შედეგები

1.საკრებულოს დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.

2.საკრებულოს რეგლამენტის დაცვაზე კონტროლს ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო საკრებულოს სხდომის დროს საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვაზე საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე“.

11.რეგლამენტის 137^{1} მუხლი ამოღებულ იქნას.

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით: მომხრე -17

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში წარმოდგენილი პროექტის მიხედვით.

2. მოისმინეს: ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონებების (ს/კ 87.04.21.128 და ს/კ 87.04.21.111) სახელმწიფოსთვის გადმოცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს შესაბამისმა კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხი განსახილველად გამოგვეტანა საკრებულოს სხდომაზე:

საკრებულოს კომისიის წევრები გამოხატავენ მზაობას აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე, მაგრამ ამ ეტაპზე, გარკვეული პერიოდით თავი შეიკავეს დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული უძრავი ქონება გათვალისწინებული იყო მე-2 საჯარო სკოლისთვის შენობის ასაშენებლად. ამჟამად აღნიშნული სკოლისთვის შეირჩა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ახალგაზრდული სახლი, სადაც საპროექტო სამუშაოების შესრულება უნდა უზრუნველყოფს განათლების სამინისტრომ. შესაბამისად ველოდებით დოკუმენტს, რომელიც მე-2 საჯარო სკოლისთვის იქნება ალტერნატიული ფართის მიღების გარანტია.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - საკითხის ასე დაყენება ვფიქრობთ რომ სწორია, რადგანაც მეორე საჯარო სკოლას აქვს პრობლემა ფართთან დაკავშირებით და ჩვენი ვალდებულებაა გავითვალისწინოთ მშობლების და პედაგოგების თხოვნა ამ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს წევრმა ლამზირა გუგავამ - დაველოდოთ დოკუმენტებს და როგორც კი გადაწყდება მეორე საჯარო სკოლის ფართით დაკმაყოფილების საკითხი, თანმიმდევრულად მივიღებთ განკარგულებას უძრავი ქონებების (ს/კ 87.04.21.128 და ს/კ 87.04.21.111) სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე.

საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხის ასე დაყენებას და დაევალა საკრებულოს აპარატის თელმძღვანელს: მომზადდეს წერილი უძრავი ქონების ეროვნულ სააგენტოში, რომ ახალგაზრდული სახლთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტის მიღებისთანავე ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიიღებს განკარგულებას უძრავი ქონებების (ს/კ 87.04.21.128 და ს/კ 87.04.21.111) სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე.

3. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა ზვიად ლობჟანიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი - 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე. მან თემების მიხედვით ჩაშალა სოფლებში განსახორციელებელი პროექტები. დაწვრილებით ილაპარაკა თითოეული პროექტის მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი თანხა დაიხარჯება დაბაში და გაკეთდება რეკრეაციული ზონა.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანმა. აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებმა თემების წარმომადგენლებთან ერთად შეძლეს შეხვედროდნენ მუნიციპალიტეტის სამოცივე სოფლის მოსახლეობას და შეერჩიათ 2024 წელს განსახორციელებელი პროექტები.

აზრი გამოთქვა: საზოგადოების წარმომადგენელმა სოზარ ბენდელიანმა - სამი წელია უკვე, რომ არ ჩაისვა ლენტეხი-ფაყის გზის რაბილიტაცია. რამდენიმე ოჯახი ვინარჩუნებთ ამ სოფელს, არის საშინელი გზა და ამავე დროს გვაქვს წყალსადენის პრობლემა.გვაინტერესებს რატომ არ იქნა გათვალისწინინებული აღნიშნულ ნუსხაში ეს პროექტები.

აზრი გამოთქვა : საზოგადოების წარმომადგენელმა მაყვალა გაზდელიანმა - მის საცხოვრებელ სახლთან სოფ ლასკადურაში არის ღელეს ადიდების საშიშროება და საჭიროა გამაგრებითი კედლის გაკეთება. განცხადება ჭქონდა მერიაში შეტანილი და პასუხად მიიღო, რომ აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იქნებოდა 2024 წლის პრიორიტეტებში.

აზრი გამოთქვა: საზოგადოების წარმომადგენელმა - ბესო გაზდელიანმა - სოფ. ბავარში არის გზის და ნიდების პრობლემა. როდის იქნება ეს საკითხები გათვალისწინებული?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს პროექტები არის რეგიონალური ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტები. მომავალში ელოდებიან სტიქიის და მთის ფონდებიდანაც დაფინანსებას და ამ შემთხვევაში იქნება გათვალისწინებული სხვა პროექტები.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოვა ფრაქცია ,,მოქალაქეები საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ნინო ბენდელიანმა: სამარცხვინოა დაბაში საშეშე ნაგებობების საკითხი. რაიონი დამახინჯებულია ამ უსახური შენობა-ნაგებობებით და გვაინტერესებს რატომ არ არის დაბის ინფრასტრუქტურის მოწყობაში ეს საკითხი გათვალისწინებული.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს პროექტი არის ძალიან ძვირადღირებული და წელს ვერ მოხერხდა ამ პროექტის გათვალისწინება.

საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი დააფიქსირა საკრებულოს წევრმა ამირან ქურასბედიანმა: რადგანაც საშეშე შენობები არის კერძო საკუთრებაში, ამიტომ აუცილებელია თანაამხანაგობის შექმნა. იყო წინა წლებში ეს საკითხი წინ წამოწეული თემა, მოვამზადეთ დოკუმენტები, მაგრამ ნოტარიუსმა არ დაამოწმა იმ გარემოების გამო რომ არ გვქონდა რაიონის განაშენიანების გეგმა.

საკითხი დააზუსტა სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა: უსახური საშეშე შენობების საკითხი ბევრჯერ იყო მსჯელობის საგანი. აღნიშნული შენობები ბევრი დაკანონებულია და ბევრი უკანონოც, მაგრამ აუცილებელია დავიწყოთ პროცესი და შეიქმნას ამხანაგობები.ამავე დროს აღნიშნა, რომ არცერთი სოფელი არ დარჩება უყურადღებოდ და მოსახლეობის პრობლემების დაკმაყოფილება გათვალისწინებული იქნება სხვა ფონდებიდან.

კითხვების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

ჰომხრე - 17

წინააღმდეგი -0

ვადაწყვიტეს: მოწონებული იქნას განკარგულების პროექტი - 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.

4. მოისმინეს:მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ აღნიშნა წარმოადგინა დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 29 ნოემბრის N-23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პრიამბულაზე მოვიდა შენიშვნა, შენიშვნა გათვალისწინებული იქნა და წარმოდგენილია ახალი სახით:

, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის , 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს“.

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისრით:

ჰომხრე -17

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 29 ნოემბრის N-23 დადგენილებაში.

5. მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30-დეკემბრის N-43 (www.matsne.gov.ge 210020010.35.115.016067 09.01.2012 წ.) დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30-დეკემბრის N-43 (www.matsne.gov.ge 210020010.35.115.016067 09.01.2012 წ.) დადგენილება.

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისრით:

ჰომხრე -17

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

6.**მოისმინეს**: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ანგარიშის წარდგენის წინ მან სთხოვა მერის მოადგილეს, მერიას გაეთვალისწინებინა საინფორმაციო დაფის განთავსება ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ ამომწურავად ილაპარაკა საკრებულოს მიერ 2024 წელს გაწეულ მუშაობაზე.

შეკითხვები ანგარიშთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის წევრებმა ცნობად მიიღეს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

სხდომის ბოლოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გასვიანმა სხდომის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია - ფრაქცია ,,მოქალაქეები საქართველოსთვის“ თავმჯდომარისთვის გოგა შავრეშიანისთვის (საფუძველი ფრაქციის ოქმი) დროებით ფრაქციის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერების და ფრაქციის წევრისთვის ირინა ლიპარტელიანისთვის ფრაქციის თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების თაობაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დამთავრდა 14 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი